პროლეტარიგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 იანვარი პარასკევი 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 23 (15236)

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲠᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲡᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲓᲘᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲝᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲔᲜᲔ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ. ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲝᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ.

ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲓᲐᲜ.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲡ!

ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ

ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ, ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის 1972 წლის 25-26 იანვრის თათბირზე წარმოდგენილმა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ, რუმინეთის სოციალისტურმა რესპუბლიკამ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ განიხილეს უკანასკნელ დროს ევროპის მოვლენათა მსვლელობა. მათ ანალიზი გაუკეთეს ამ მოვლენებს თავიანთი იმ უცვლელი მიზნის თვალსაზრისით, რომ გადააქციონ ევროპის კონტინენტი მუდმივი მტკიცე მშვიდობის რაიონად, სუვერენულ და თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის რაიონად მთელ მსოფლიოში სტაბილურობისა და ურთიერთგაგების ფაქტორად ოთბერის მონაწილეებმა ᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲝᲑᲘᲡ აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით მიღწეულია შემდგომი პროგრესი.

ევროპაში მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სოციალისტურ სახელმწიფოთა წინადადებანი ევროპის უშიშროების კონფერენციებისა და ამ მიზნით სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ. რომლებიც გამოთქმულია ბუქარესტის 1966 წლის დეკლარაციაში. ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ 1969 წლის მიმართვასა და ბერლინის 1970 წლის განცხადებაში. ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ მონაწილე სახელმწიფოთა ეს წინადადებანი, აგრეთვე მათი შემდგომი მოქმედება და ინიციატივები მშვიდობის ფართო პროგრამას შეადგენენ და ხელს უწყობენ ევროპაში ახალი პოლიტიკური კლიმატის შექმნას.

ევროპაში მშვიდობის საერთო საქმეში ხელ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც. ზოგიერთი მათგანის პოლიტიკაში ევროპის მშვიდობის ინტერესებს გარკვეული ენაცვლება უპირატესობა, და ეს ნაყოფიერ გავლენას ახდენს ვითარებაზე ევროპაში.

I.

თათბირის მონაწილენი აღნიშნავენ, თუ რა დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ დროს სხვადასხვა სოციალური სისტემის ევროპულ სახელმწიფოთა კონტაქტების გაძლიერებას, მათი პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას, განსაკუთრებით ურთიერთსაინტერესო საკითხებზე კონსულტაციების ფორმით. ეს აადვილებს ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთგაგებას მშვიდობისა და თანამშრომლობის დარგში მათი ხანგრძლივი ინტერესების ერთობის მიმართ.

ახლანდელი თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებებისა და კონსტრუქციული წვლილის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა ღონისძიებებისა და კონსტრუქციული წვლილის მეოხებით ევროპის სახელმწიფოთა შორის სულ უფრო მკვიდრდება მშვიდობიანი თანაარსებობის ურთიერთობა. ამასთან დაკავშირებით თათბირის მონაწილენი აღნიშნავენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და საფრანგეთის შორის თანამშრომლობის პრინციპებს, რომელთა მიღებითაც დამთავრდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ამასწინანდელი მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე.

ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელებას ხელს უწყობს აგრეთვე ეკონომიური, სავაჭრო, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული და სხვა კავშირურთიერთობის გაფართოება. ევროპის სახელმწიფოთა შორის. მატიდება და სულ უფრო მრავალმხრივ შინაარსს იძენს ევროპის ხალხთა ურთიერთდამოკიდებულება. იზრდება ევროპის საზოგადოებრივობის აქტიობა დაძაბულობის შენელების გაორმაგებისათვის, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროებისათვის საბრძოლველად.

თათბირზე წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა ᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲝᲑᲐ გამოთქვეს იმის გამო, რომ ევროპაში დაძაბულობის შენელების პროცესში მოპოვებული შედეგები საჭირო შემთხვევებში დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით, რომლებსაც საერთაშორისო-სამართლებრივი ძალა აქვთ.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ დაიწყო ხანგრძლივი და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებათა რატიფიკაცია. ამ ხელშეკრულებათა ძალაში შესვლა შეიჭაბამება არა მარტო მათ უშუალო მონაწილეთა ინტერესებს არამედ ევროპის ყველა სახელმწიფოს ინტერესებსაც, გამოიწვევს ევროპის მშვიდობის საფუძვლების კონსოლიდაციას.

თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დადებითი მნიშვნელობა აქვთ 1971 წლის 3 სექტემბრის ოთხმხრივ შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის საკითხზე, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა შორის შეთანხმებასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და დასავლეთ ბერლინის სენატს შორის შეთანხმებას.

მშვიდობის განმტკიცების მნიშვნელოვანი თაქტორი ის არის, რომ სულ უფრო თართოვდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება. ამ მიმართულებით შემდგომი პროგრესი, კერძოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის დამყარება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის საქმეში.

თათბირის მონაწილეები იღწვიან იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გადაწყდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიღების საკითხი.

თათბირის მონაწილენი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობები ერთმანეთს ოზიარებენ აზრებს ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში გაფაუჭრელ საკითხებზე. ოწინარის ყოლისა ამ საკითხზე. რომ ამთავითვე ბათილად ცნონ მეორხინის შეთანხმება. ისინი მხარს უჭერენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესუბლიკის სამართლიან მოთხოვნებს და მიაჩნიათ, რომ შეთანხმების მიღწევა ხელს შეუწყობს ევროპაში ვითარების გაუჯობესებას.

ამ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს იმას, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობიდან სწრაფად და რადიკალურად აღმოიფხვრას უნდობლობისა და დაძაბულობის ხანგრძლივი პერიოდის შედეგები, სავსებით მოწესრიგდეს ეს ურთიერთობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელების გაღრმავებას, ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის განვითარებას.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები მიესალმებიან ევროპაში შემდგომი დადებითი ძვრების პერსპექტივას. ამასთანავე ისინი ითვალისწინებენ, რომ ევროპაში კვლავ მოქმედებენ ის ძალებიც, რომელთაც სურთ შეინარჩუნონ დაძაბულობა, ევროპის სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი დაუპირისპირონ მეორეს, შეინარჩუნონ იმის შესაძლებლობანი, რომ კვლავ გაამწვავონ მოვლენათა განვითარება ევროპის კონტინენტზე. ამ ძალებს, როგორც გვიჩვენებენ ფაქტები, მათ შორის სულ უკანასკნელი დროის ფაქტები, ევროპის პოლიტიკა ვერ წარმოუდგენიათ ბლოკების კატეგორიათა გარეშე და ისწრაფვიან კიდევ უფრო გააძლიერონ გამალებული შეიარაღება ევროპის კონტინენტზე. ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ მონაწილე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არ გამოიტანონ აქედან შესაბამისი დასკვნები თავიანთი უშიშროებისათვის. მაგრამ ისინი დარწმუნებული არიან, რომ ახლა ევროპაში შეიქმნა ძალთა ისეთი თანაფარდობა, როცა შესაძლებელია დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა დაძლევა, თუ მშვიდობის განმტკიცების საქმე ერთობლივად და თანმიმდევრულად განხორციელდება.

II.

თათბირის მონაწილე სახელმწიფოები გამოთქვამენ რწმენას, რომ ახლანდელ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სავსებით შესაძლებელია განხორციელდეს ევროპის სახელმწიფოთა კოლექტიური, ერთობლივი მოქმედება ევროპის უშიშროების განმტკიცების მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით ისინი გამოთქვამენ აზრს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოიწყოს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, რომელშიც თანასწორუფლებიან საფუძველზე მონაწილეობას მიიღებდნენ ევროპის ყველა სახელმწიფო, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა.

სრულიად ევროპის თათბირზე მისი მონაწილენი შეძლებდნენ შეემუშავებინათ ევროპაში დაძაბულობის შემდგომი შენელების პრაქტიკული ღონისძიებანი და დასაბამი მიეცათ ევროპის უშიშროების სისტემის მშენებლობისათვის.

თათბირის მონაწილენი გამოთქვამენ აზრს, რომ ევროპის უშიშროება და თანამშრომლობა მოითხოვს ვალდებულებათა სისტემის შექმნას, რომელიც გამორიცხავს ძალის ყოველგვარ გამოყენებას ან მისი გამოყენების მუქარას ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რაც ყველა ქვეყანას აძლევს იმის გარანტიას, რომ ისინი დაცულნი არიან აგრესიის აქტებისაგან, და ხელს უწყობს თვითეული ხალხის კეთილდღეობასა და აყვავებას.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ სრულიად ევროპის ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ შეიძლება ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲓᲔᲡ 1972 ᲬᲚᲘᲡ, და ამის ხელშეწყობ ფაქტორად თვლიან დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოთა განცხადებებს იმის შესახებ, რომ ისინიც ამავე აზრისა არიან.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილენი გაგებით ეკიდებიან ბევრი სახელმწიფოს მოსაზრებებს, რომლებიც მხარს უჭერენ სრულიად ევროპის თათბირის საჭირო მომზადებას, რაც ხელს შეუწყობდა ამ თათბირის რაც შეიძლება მალე მოწვევას და მისი მუშაობის წარმატებას. მათ მიაჩნიათ, რომ უნდა განხორციელდეს ფინეთის თავვრობის წინადადება ჰელსინკში მრავალმხრივი კონსულტაციების გამართვის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ევროპის ყველა დაინტერესებული სახელმწიფო, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. თათბირის მონაწილე სახელმწიფოები ისევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილ დანიშნონ წარმომადგენელები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მრავალმხრივ კონსულტაციებში, სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად, რათა შეთანხმონ სრულიად ევროპის თათბირის მომზადებისა და ჩატარების საკითხები. ისინი აღნიშნავენ, რომ წინადადებას მრავალმხრივი კონსულტაციების, როგორც სრულიად ევროპის თათბირის მომზადების თორრის შესახებ ახლა ეთანხმება ყველა დაინტერესებული სახელმწიფო, და მოოწოდებენ დაიწყონ მრავალმხრივი კონსულტაციები უახლოეს ხანში.

III.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ მონაწილე სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ ევროპის უშიშროების განმტკიცების ინტერესებს შეესაბამება აგრეთვე შეთანხმების მიღწევა ევროპაში ისაარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. ისინი ითვალისწინებენ, რომ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების, როგორც უცხოურის, ისე ეროვნულის, შემცირების საკითხი იმგვარად უნდა გადაწყდეს, რომ ზიანი არ მიაყენოს ქვეყნებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ასეთ შემცირებაში. ამ საკითხის გადაწყვეტის გზების განხილვა და განსაზღვრა არ უნდა იყოს ევროპაში უშიშროებისა სამხედრო-პოლიტიკური ᲙᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ამ საკითხზე მოლაპარაკების მოწყობის წესის გამო შესაძლოა მიღწეულ იქნას შესაბამისი შეთანხმება.

□ □

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ, ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ, ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ. ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲒᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲖᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲖᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ პრაღაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ა. ჰუსაკი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამდივნოს წევრები შეხვდნენ სსრ კავშირის დელეგაციის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. დელეგაციი მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მოშაობაში. შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხ. ნ. ნ. როდიონოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. ა. ვ. ალექსანდროვი და სხვა ამხანაგები. ჩრდილოეთ პრაღაში საბჭოთა დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ. მათ გარდა შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ამხ. ს. ვ. ჩერვონენკო;

ჩეხოსლოვაკიის მხრივ — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხ. ლ. სპობოდა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ლ. შტროუგალი. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ამხ. ბ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ბ. ლენარტი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ი. ფოიტიკი, ო. შეფჩეკი, ფ. ონდრეიხი და ვ. სვობოდა.

ამ ამხანაგური შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მრავალმხრივი ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გზების შესახებ. განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობისა და თავიანთი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის და მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისათვის, სოციალიზმ ი ს საქმისათვის მათი ერთობლივი ბრძოლის აქტუალური საკითხები.

საუბრის დროს მხარეებმა ამაყოფილება გამოთქვეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შედეგების გამო და გამოთქვეს რწმენა, რომ ამ თათბირის გადაწყვეტილებანი სოციალისტური ქვეყნების დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ევროპის კონტინენტზე მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

შეხვედრამ ძმობის, გულითადობისა და სრული ერთობის ვითარებაში ჩაიარა.

ამავე დღეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრაღის კრემლში სადილი გაუმართა საბჭოთა დელეგაციას. სადილზე ამხ. გ. ჰუსაკმა და ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მეგობრული საღეღეგრძელოები წარმოთქვეს.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

პრაღა, 26 იანვარი. (საკუთარი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ დღეს გამართეს სადილი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოსულ დელეგაციათა პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და წევრობის კანდიდატები, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა გამოსვლაში აღნიშნა, რომ თათბირმა, რომელმაც წარმატებით დაამთავრა მუშაობა, კვლავ იხადო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიანობა.

ყველა დელეგაციის სახელით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პრაღის თათბირს სოციალიზმის საგარეოპოლიტიკური პოზიციების განმტკიცებისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

სადილმა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ Ლ. ᲡᲕᲝᲑᲝᲓᲐᲡ

პრაღა. 27 იანვარი. (საკუთარი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი პრაღის კრემლში ეწვია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ლ. სვობოდას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ლ. სვობოდამ მეგობრულად ისაუბრეს. საუბარმა გულთბილობის ვითარებაში ჩაიარა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲞᲠᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

პრაღა, 27 იანვარი (საკუთარი). დღეს პრაღიდან საშშოლოში გამოემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგ თათბირში.

დელეგაციის შემადგენლობაში შეღიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხ. ნ. ნ. როდიონოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. ა. ვ. ალექსანდროვი და სხვა ამხანაგები. ჩრდილოეთ პრაღაში საბჭოთა დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ. მათ გარდა შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ამხ. ს. ვ. ჩერვონენკო;

ჩეხოსლოვაკიის მხრივ — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხ. ლ. სპობოდა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ამხ. ბ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ბ. ლენარტი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ი. ფოიტიკი, ო. შეფჩეკი, ფ. ონდრეიხი და ვ. სვობოდა.

ამ ამხანაგური შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მრავალმხრივი ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გზების შესახებ. განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობისა და თავიანთი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის და მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისათვის, სოციალიზ მ ი ს საქმისათვის მათი ერთობლივი ბრძოლის აქტუალური საკითხები.

საუბრის დროს მხარეებმა აღნიშნეს, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბოლო თათბირის შედეგებმა ხელი შეუწყო ამ ორგანოს მოღვაწეობის ეფექტურობის ამაღლებას, ხელი შეუწყო ევროპის ჯანსაღ ბაზაზე უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროპული კონფერენციის ორგანიზებისა და ჩატარების ამოცანების ერთობლივ ძალისხმევით, ევროპაში ძალის გამოყენებისა და ძალადობის ერთობლივ უარყოფასა და ევროპის ხალხებს ერთობლივ ბრძოლაში ერთიანობისა და ერთობის ამაღლებაზე.

ამ ამხანაგური ურთიერთობა, ურთიერთგაგება, ურთიერთნდობა, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთთანადგომა, ურთიერთდახმარება, ურთიერთმეგობრობა, ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთგაგება ... ეს ... ეს ... ეს

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲜᲐᲒᲝᲘᲐ. 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). გრძელდება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს ვიზიტი იაპონიაში. ქალაქ ტობას შემდეგ ა. ა. გრომიკო დღეს ეწვია ქალაქ ნაგოიას, სადაც საბჭოთა სტუმარს საუზმე გაუმართეს. აიტის პრეფექტურის გუბერნატორმა მ. კუნაჰარამ და ა. ა. გრომიკომ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარწმუნებული ვართ, თქვა მ. კუნაჰარამ, რომ ჩვენი ქვეყნების ეკონომიური და კულტურული გაცვლა უკანასკნელ წლებში აქტიურია და აღრმავებს ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობას.

საპასუხო სიტყვაში ა. ა. გრომიკომ თქვა: კმაყოფილი ვართ, რომ უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობა კეთილნაყოფიერი მიმართულებით ვითარდება. ჩვენს ქვეყნებს შორის ფართოდდება საქმიანი თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირი ბევრი თვალსაზრისით იაპონიის ბუნებრივი საკავშირო პარტნიორია, და ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ვაჭრობას ზრდის ხელშეწყობი პერსპექტივები აქვს.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ სსრ კავშირსა და იაპონიას შორის ეკონომიური ურთიერთობის კიდევ უფრო აქტიური განვითარება ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაფართოების ბაზა იქნება ყველა დარგში, მათ შორის პოლიტიკის სფეროშიც. ეს, თავის მხრივ, თქვა მან, ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების დაახლოებას.

ტოკიო. 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). დღეს საღამოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ტოკიოში დაბრუნდა.

სსრ კავშირის ელჩმა იაპონიაში ო. ა. ტროიანოვსკიმ მის პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელზეც იყვნენ იაპონიის მინისტრები, პარლამენტის დეპუტატები, საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები, სამინისტროთა პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე იაპონიაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. დარბაზობამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲐ

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). „სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობამ გაუძლო დროის გამოცდას, და ჩვენ ვამაყობთ ამით“, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვარაპაგირი ვენკატა გირიმ. ამ მეგობრობას, განაგრძო პრეზიდენტმა, ღრმა და მტკიცე თესლები აქვს, იმყარება ორივე ჩვენი ხალხის საარსებოდ დიდმნიშვნელოვან ინტერესებს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ — ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲨᲘ

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). აქ გამოქვეყნდა მთავრობის კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის ვადებსა და პირობებს. იგი წარუდგენეს განსახილველად პარლამენტს, რომელმაც ხმის უმრავლესობით ჯერ კიდევ 1971 წლის 28 ოქტომბერს პრინციპიულად მოიწონა ინგლისის შესვლა ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში.

დღეს გამოქვეყნებულ კანონპროექტს თემთა პალატა განიხილავს მთელი მომდინარე წლის მანძილზე. ვანხილვის შედეგზე დამოკიდებული იქნება, შეავა თუ არა ინგლისი „საერთო ბაზარში“ 1973 წლის 1 იანვრისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია პროგრამით, რომელიც შეიმუშავეს დიდი ბრიტანეთისა და „ექვსეულის“ ქვეყნების მთავრობებმა.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა პრინციპიულად მოიწონა ინგლისის შესვლა ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში, კანონპროექტის განხილვა თემთა პალატაში, როგორც ჩანს, ადვილი არ იქნება.

პარლამენტის მთელი რიგი წევრები მმართველი კონსერვატიული პარტიისაგან ითვალისწინებენ, რომ „საერთო ბაზრის“ წინააღმდეგია ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 75 პროცენტი, და უკვე გამოაცხადეს, რომ წინააღმდეგობას გაუწევენ ქვეყნის შესვლას „ექვსეულში“. ასეთივე პოზიციის დაკავებას აპირებს ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციაც.

ერთმა ლეიბორისტულმა პარლამენტარმა, ვაჭრობის ყოფილმა მინისტრმა დუგლას ჯეიმ დღეს განაცხადა, რომ კონსერვატიულმა მთავრობამ, როგორც კანონპროექტიდან ჩანს, პარლამენტს დაუმალა მთელი რიგი პირობები, რომლებიც მას თავს მოახვია „ექვსეულმა“. პარლამენტი, რომელმაც 28 ოქტომბერს პრინციპულად მხარი დაუჭირა ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“, თქვა მან, შეცდომაში შეიყვანეს და მან არ იცოდა იმ დამობების ყველა მასშტაბი, რომლებზეც მთავრობა წავიდა ინგლისის ინტერესების საზიანოდ „ექსეულის“ ქვეყნებთან მოლაპარაკების დროს.

ᲓᲐᲙᲐ — ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲜᲛᲐᲠᲔᲑᲐ

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ბანგლადეშის მთავრობამ გამოყო 300 მილიონი რუპია ინდოეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ლტოლვილების, აგრეთვე ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილის დასახმარებლად, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაინგრა მმვიდობიანი მცხოვრებლების წინააღმდეგ პაკისტანის სამხედრო ხელისუფალთა მასობრივი რეპრესიების შედეგად.

აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, უკვე ლტოლვილთა ნახევარზე მეტი ინდოეთიდან დაბრუნდა ბანგლადეშში. ქვეყანაში შექმნილია 79 მიმღები პუნქტი.

ᲙᲐᲘᲠᲝ. 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲜᲕᲐᲠ ᲡᲐᲓᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲐ

ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი დღეს გამოვიდა ქვეყნის პოლიტიკური, პროფკავშირული და სხვა მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

პრეზიდენტმა სადათმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირი ეგვიპტის მეგობარი ქვეყანაა და მისი მთავარი მოკავშირეა ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში“, მან დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ისრაელის აგრესიული კურსისათვის სამხედრო და ეკონომიურ მხარდაჭერას.

ა. სადათი შეეხო კაიროელ სტუდენტთა ამასწინანდელ დემონსტრაციებთან დაკავშირებულ ამბებს. პრეზიდენტმა აღნიშნა მთელ რიგ სტუდენტთა „უღირსი საქციელი“ და თქვა, რომ სტუდენტთა მოძრაობაში არსებობს ზოგიერთი მიმდინარეობა, რომელთა წარმომადგენლები ცდილობენ გათიშონ საშინაო ფრონტი ქვეყანაში. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა, საჭიროა გაწარმოოთ გულმოდგინე ახსნა-განმარტებითი მუშაობა სტუდენტთა შორის სტუდენტთა კავშირების მიშვებობით.

სტუდენტები, თქვა ა. სადათმა, უნდა სწავლობდნენ ქვეყნის წინაშე დასახული მიზნების მოღწევისათვის. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „შიშვრობის ორგანიზაციამ გამოაცხადა ვეგმა, რომელიც მოწმობს, რომ სტუდენტთა გამოსვლები „ამამოწვიეს უმაღლესი სასწავლებლების გარეთ არსებულმა ძალებმა და მიზნად ისახავდნენ საშინაო ფრონტის გათიშვას“. 30-მდე სტუდენტი წარსდგება სასამართლოს წინაშე.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ — ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲤᲐᲠᲡᲘ

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ლისაბონის ტრიბუნალი გარშემორტყმული პოლიციის რაზმებით. უველგან დაძვრებიან გადაცმული ჯაშუშები. სასამართლოს შენობაში მხოლოდ სპეციალური საშვებით შეიძლება შესვლა.

განსასჯელის სკამზეა ხუთი ანტიფაშისტი. თვითეული მათგანის ასაკი 35 წელს არ აღემატება. ესენი არიან ახალგაზრდა მუშები, პროფკავშირული აქტივისტები, რომლებიც იბრძვიან აფრიკაში კოლონიური ომის შეწყვეტისა და თავიანთი სამშობლოს ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის.

„13 დღეზე მეტ ხანს არ მაძლევდნენ მედიცინეგეები დაძინების საშუალებას. ისინი ყოველ საათს ფიზიკურად და მორალურად მაწამებდნენ. 76 დღეს ვიყავი სამართო საკანში, სადაც ყოველდღე საათობით გრძელდებოდა ჩემი დაკითხვა“.

ამ ფაქტების შესახებ ილაპარაკა პორტუგალიის ბანკის მოსამსახურეთა ეროვნული პროფკავშირის მდივანმა დანიელ კაბრიატუმ.

კაბრიატუმ განაცხადა, აღიარება სასტიკი წამებით გამომგლეჯესო. „მე ხელი მოვაწერე ბრალდებას, რათა ბოლო მოღებოდა ჩემს წამებას“

კაბრიატუსა და მის ამხანაგებს — ოთხ ახალგაზრდა მუშას — მოელით პატიმრობა 2-დან 8 წლამდე ვადით.

ლისაბონში გათამაშებულ სასამართლო ფარსთან დაკავშირებით, შრომის საყოველთაო კონფედერაციამ პორტუგალიის პრეზიდენტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ პროფკავშირის მოღვაწეები, რომლებიც დაუპატიმრეს „გაუსამართლებლად და გამოუძიებლად პრევენტიული 180 დღით დაპატიმრების“ კანონის საფუძველზე.

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝ

ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲒᲝᲒᲐ

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიაზე გაძლიერდა ტერორი და რეპრესიები ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ.

როგორც სირიის გაზეთები იუწყებიან, ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებამ ამას წინათ ღაზის სექტორში დაატყვევა 100 არაბი. რომლებსაც ებრალებენ პარტიზანების მხარდაჭერას. ზემო გალილეაში ნაბრის, ჯენინიისა და სულმის დასახლებულ პუნქტებში სატანმრომში ჩასვეს 20 არაბი. სულ ამჟამად ისრაელის საპატიმროს დილეგებში იტანჯება სამი ათასი არაბი.

ისრაელის საპატიმროებში გამეფებულია სასტიკი რეჟიმი, იყენებენ ფიზიკურ წამებას. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ აშკელონის საპატიმრო (ტელ-ავივის სამხრეთით). ამ საპატიმროში ტუსაღები უფანჯრებო საკნებში სხედან.

დაპატიმრებებსა და ტერორთან ერთად ისრაელის ხელისუფალნი კვლავ მეთოდურად ასრულებენ „დაიანის გეგმას“, რომლის მიზანია არაბების ძალადურად გადასახლება დაშორებულ და დაუსახლებელ ადგილებში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝᲡᲚᲔᲒᲖᲔ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ, 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). მექსიკაში იღებენ მხატვრულ ფილმს სამი გამოჩენილი მექსიკელი მხატვრის ხოსე კლემენტე ოროსკოს, დიეგო რივერასა და დავიდ ალფარო სიკეიროსის შესახებ, აცნობა ეფორნალხტებს ქვეყნის კინემატოგრაფიის ეროვნული ბანკის დირექტორმა როდოლფო ეჩევერიამ. ეს მხატვრები გახდნენ მამამთავრები თავისი შინაარსით ღრმა სოციალური მონუმენტური ფერწერისა, რომელიც ახლა ამკობს ზოგიერთი შენობის კედლებს მექსიკის დედაქალაქში და რომელმაც მსოფლიოს სახელი მოუტანა მათ. ხოსე კლემენტე ოროსკო გარდაიცვალა 1949 წელს, დიეგო რივერა—1957 წელს, დავიდ ალფარო სიკეიროსს ამას წინათ შეუსრულდა 75 წელი. იგი აქტიურად განაგრძობს შემოქმედებითს მოღვაწეობას.

გარდა ამისა, აღნიშნა რ. ეჩევერიამ, წელს დაიწყება გადაღება ორი სრულმეტრაჟიანი ფილმისა, რომელიც ეძღვნება ეროვნულ გმირს მექსიკის პრეზიდენტს 1858-დან 1872 წლამდე ბენიტო ხუარესს. იგი სათავეში ჩაუდგა მექსიკელთა ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ინგლისის, ესპანეთისა და საფრანგეთის კოლონიური ჯარების წინააღმდეგ.

მექსიკის კინემატოგრაფიის ეროვნული ბანკი აფინანსებს მეტწილ ფილმებს, რომლებიც მექსიკაში გამოდის. შარშან ქვეყნის ეკრანებზე გამოვიდა 77 მხატვრული სურათი.

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘ

● **ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** მიერ ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ცნობის აღსანიშნავად დაკაში გამართულ სახეობიმ ცერემონიალზე გამოსვლის დროს ბანგლადეშის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულ სამადმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას.

● **ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲨᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐ**, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ ცნო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა.

● **ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲛ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ** საერთაშორისო სატვირთო საჰაერომმობილო ხაზი სოფია-მოსკოვი-სოფია. სოფიიდან გავიდა საბჭოთა კავშირისათვის გათვალისწინებული ტვირთით დატვირთული ბულგარული ავიტრანსპორტი. ერთდროულად მანქანა გავიდა მოსკოვიდანაც.

● **ᲚᲘᲑᲘᲐᲛ ᲒᲐᲐᲣᲥᲛᲐ** „მეგობრობისა და კავშირის“ ხელშეკრულება, აგრეთვე სამხედრო და ფინანსური შეთანხმებანი, რომლებიც ინგლისთან დადო ყოფილმა მეფის რეჟიმმა 1953 წელს.

● **ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ** ვაშინგტონის. ნიუ-იორკისა და ამერიკის სხვა დიდი ქალაქების პოლიციელთა შორის ალორეფიციის მრავალი ფაქტი. იყო შემთხვევები როცა პოლიციელები დამნაშავეთა სამყაროს ბოსებისაგან იღებდნენ ქრთამს თვეში 1500-3000 დოლარის ოდენობით.

● **ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** ანკეტა დეკანის დაკვის ეროვნული კომიტეტის პრეს-კონფერენცია, რომელზეც წაიკითხეს მამაცი კომუნისტის „განცხადება“, რომელიც სპატიმროდან გამოგზავნა. მყიარალა კამპანია, რომელსაც ახლა ამერიკის ბურჟუაზიული პრესა აღვიძებს, ნათქვამია განცხადებაში, აშკარად რასისტული ხასიათისაა. ეს კამპანია მიზნად ისახავს, რომ ჯერ კიდევ სასამართლომდე ციელი დამწყმარის საზოგადოებრიობის თვალში, აღნიშნავს ანკეტა.

● **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ** ძალების თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. რეაქტიულმა „ფ-105“ თვითმფრინავებმა რაკეტები დაუშინეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას დემილიტარიზებული ზონის ჩრდილო-დასავლეთით 80 და 96 კილომეტრზე განლაგებულ პუნქტებში.

● **ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲛᲗᲛᲨᲕᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ** მრეწველობა ღრმა დეპრესიას განიცდის. 1971 წლის ინგლისის გემთაშენებელმა ჭარხნებმა მიიღეს მხოლოდ 70 გემის მშენებლობის ნაკვთა, ნაცვლად შარშანდელი 202 გემისა. გასულ წელს მკვეთრად გაიზარდა გემების რიცხვი. რომლებიც ნავადგურებში დგანან საზღვაო ტვირთნიდის მოცულობის შემცირების შედეგად.

ᲐᲛᲐᲯᲔᲯᲘ

ᲡᲐᲕᲐᲚᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). 1971 წელი ფრანგი ავტომობილისტებისათვის „შავბნელი წელი იყო“: საფრანგეთის გზებზე საავტომობილო კატასტროფების შედეგად დაიღუპა 16 ათასი კაცი (ათასი კაცით მეტი, ვიდრე 1970 წელს), 250 ათასი კაცი დაშავდა და დასახიჩრდა.

ამას წერს გაზეთი „ფრანს-სუარი“, რომელიც ხაზს უსვამს, რომ 1967-1971 წლების პერიოდში გზებზე სულ დაიღუპა 73 ათასი კაცი, 1,6 მილიონი კი სერიოზულად დაშავდა.

ᲬᲧᲣᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲘᲐᲜᲘᲡ საერთაშორისო ბაზრობაზე პერუს დედაქალაქ ლიმაში დიდი წარმატებით სარგებლობდა საბჭოთა პავილიონი. მისი მუშაობის პირველი ხუთი დღის განმავლობაში გამოფენის დარბაზები დაათვალიერა 100.000 ადამიანმა. ექსპონატებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა სახელგანთქმული „ლუნოხოდ-I“.

სურათზე: დამთვალიერებლები სსრ კავშირის პავილიონთან.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — Რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲐᲮᲪᲝᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

მან გამოაცხადა, რომ 27 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი პარიზის თათბირზე შიტანს „ინდოჩინეთის კონფლიქტის მოწესრიგების გეგმას“, რომლის თანახმად ამერიკის შეერთებული შტატები მზად იქნება შეასრულების მოწყვეტის შემდეგ ექვსი თვის ფარგლებში „გაიყვანოს ამერიკისა და მოკავშირე შეიარაღებული ძალები სამხრეთ ვიეტნამიდან“ და „გაიტანოს ყველა სამხედრო ტყვე“.

პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ გეგმაში დადგენილი არ არის სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების მთლიანად გაყვანის ზუსტი თარიღი, სტუდეკ არ არის ნათქვამი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები ინდოჩინეთის სხვა ქვეყნებიდან და მთელი ამ რაიონიდან გაიყვანოს თავისი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი, უწინარეს ყოვლისა ავიაცია, რომელიც მასირებულად ბომბავს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, სამხრეთ ვიეტნამს, ლაოსსა და კამბოჯას, თავმოყრილია ტაილანდის ბაზებში, ამ რაიონის სხვა ადგილებში და მე-7 ფლოტის ხომალდებზე ტონკინის ყურეში.

პრეზიდენტის განცხადებიდან გამომდინარეობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს განაახორციელოს ღონისძიებანი, რათა საიგონის ხელისუფლების სათავეში დატოვოს პრომამერიკული რეჟიმი. თუმცა ამტკიცებენ, რომ შეერთებული შტატები მზად არის მოაწყოს „პრეზიდენტის ახალი არჩევნები“ სამხრეთ ვიეტნამში. ამასთან ნიქსონმა განაცხადა, რომ ამერიკის გეგმა „არ ითვალისწინებს ჩვენი მოკავშირის დამხობას“ და შეერთებული შტატები „არასოდეს არ იზამს ამას“.

ნიქსონმა აღიარა, რომ ვიეტნამის ომი „ყველაზე ხანგრძლივი და ძმიმე ომია ამერიკის ისტორიაში“. „პატიოსან და პატრიოტულად განწყობილ ამერიკელთა შორის, — თქვა მან, — შეიმჩნევა უთანხმოება ომის გამო, უნდა ჩაეთულიყო თუ არა შეერთებული შტატები საერთოდ 9 წლის წინათ ამ კონფლიქტში, და ომის გამო, თუ როგორ წარმოებს ომი“.

პრეზიდენტი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ „ვიეტნამიზაციის“ ეგრეთწოდებული პროგრამა პოპულარული არ არის ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობაში, რადგან იგი მეტისმეტად „გაჭიანურებული“ აღმოჩნდა და მოთმინებას უკარგავს ამერიკელ ხალხს“.

შეეხო რა პარიზის მოლაპარაკებას, პრეზიდენტმა არსებითად აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს მოლაპარაკება აწარმოოს ძალის პოზიციიდან და გადაჭრით მოითხოვს თავისი გეგმის უშენშენოდ მიღებას. თუ მოწინააღმდეგემ უარყო ჩვენი წინადადება, განაცხადა ნიქსონმა, ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს ომის „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკას.

უფრო მეტიც, თუ უარყვეს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება, თქვა რ. ნიქსონმა, იგი „მთლიანად შეასრულებს ამერიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოვალეობას“, რათა „უზრუნველყოს ვიეტნამში დარჩენილი ჯარების დაცვა“.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ნიქსონმა მიუძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკის ფამართლებას, რომელიც ეფერხებს ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირის მუშაობას. იგი შეეცადა შექმნილი ჩიხი დაებრალებინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობისათვის, ამასთან დაამოწმა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიყენა ყველა არხი, როგორც ღია, ისე დახურული მოლაპარაკებისათვის.

ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეებისა და კომენტატორების პირველი გამოხმაურებანი ცხადყოფენ, რომ ისინი სკეპტიკურად ეკიდებიან მთავრობის გეგმას.

პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული გეგმა. აღნიშნა სენატორმა ა. კრენსტონმა, კვლევინდებურად არ იძლევა პასუხს კითხვაზე — „რამდენ ხანს დავრჩებით, ვიბრძოლეთ და დავიხოცებით ვიეტნამში“

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚᲘ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). 1971 წელი შეერთებულმა შტატებმა დაამთავრა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე უდიდესი დეფიციტური სავაჭრო ბალანსით.

როგორც ვაჭრობის სამინისტრომ გამოაცხადა, დეფიციტმა შეადგინა 2.047 მილიონი დოლარი. მაშინ, როცა უცხოეთის საქონლის შემოტანა ამერიკაში გადიდდა 14 პროცენტით, ამერიკის ექსპორტი მხოლოდ 2 პროცენტით გაიზარდა. სპეციალისტთა აზრით, ეს მონაცემები მოწმობენ, რომ ამერიკა პოზიციებს თმობს თავის სავაჭრო კონკურენტებთან ბრძოლაში, მოწმობს აგრეთვე ძალთა თანაფარდობის შეცვლა კაპიტალისტურ სამყაროში.

ამერიკის პრესა მკითხველებს შეახსენებს, რომ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო ვაჭრობაში უარყოფითი სალდო 1888 წელს აღინიშნა.

ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ

ᲐᲛᲐᲮ ᲧᲘᲚᲐᲜᲘ თავისუფლების ძეგლში ბარიკადები ააგო ვიეტნამის ომის 15 ვეტერანმა ამერიკის ავიაციის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველაზე ძლიერი დაბომბვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ვეტერანებმა გამოაკიდეს შებრუნებული ამერიკული დროშა, როგორც სიმბოლო უბედურებისა და სირცხვილისა, . მან ქვეყანას რომ დაატყდა. თავისუფლების ძეგლს ალყა შემოარტყეს შეიარაღებულმა პოლიციელებმა. ალყაშემორტყმულებმა წერილით მიმართეს პრეზიდენტ ნიქსონს, რომელშიც მოითხოვდნენ გამოაცხადოს ვიეტნამის ომის შეწყვეტის თარიღი.

ᲣᲩᲘᲕᲔᲚᲝ გარნიზონი, რომელიც უწვეულო ციხე-სიმაგრეს იცავდა, 15 კაცს ითვლიდა. ჯერ იყო და რომელიღაც პოლიციელმა თქვა, — ძეგლის შიგნით 16 კაციაო. ვეტერანთა ორგანიზაციის შტაბი კი ამტკიცებდა, რომ ბარიკადებს იქით თხუთმეტი იყვნენ. შემდეგ პატარა ხერელიდან (მძიმე ლითონის კარსა და ძეგლის კედლის კედლებს შორის) ახსნა-განმარტება მოვიდა: ვეტერანები თხუთმეტნი ვართო. გარდა ამისა, მათთან იყო ნიუ-იორკის ერთ-ერთი რადიოსადგურის კორესპონდენტი. შეიქმნა სამუშაო ტერმინი — „თავისუფლება —15“, ისევე როგორც ეს იყო ჩეკადგოში. მაშინაც შეიქმნა ტერმინი — „ჩიკაგო-7“ (ანტიომარი მოძრაობის შვიდი აქტივისტი, რომლებიც გასასამართლეს) ან „ფორტ ხუდ-4“ (პირველი ოთხი ჯარისკაცი ფორტ ხუდიდან, რომლებმაც უარი თქვეს ვიეტნამში წასვლაზე) და მრავალი სხვა.

როგორც ცნობილია, ისინი ძეგლში შევიდნენ კვირადღეს, საღამოს, მოუცადეს, ვიდრე უკანასკნელი ტურისტები და დაცვა წავიდოდა. ბოძებით გადაკეტეს კარები, რომელიც ძეგლის საფუძვლისაკენ მიდის, და განაცხადეს, რომ ძეგლის დაკავება პროტესტის ვიეტნამის ომის წინააღმდეგ.

ძეგლის ირგვლივ არ ისმოდა სროლის ხმა, არ იყო შემართული ქვემეხის ლულები, მაგრამ იყო ალყაც და თავდაცვაც. ჩვენმა დრომ მრავალ ძველ, ჩვეულ ტერმინებს სხვა, ზოგჯერ საწინააღმდეგო აზრი მიანიჭა. რამდენიმე წლის წინათ, როდესაც პირველად ჩამოვედი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვიქმორიას ნიშანი — ხელის ორი თითი —საჩვენებელი და შუა თითი — ზეაღმართული ასო „V“ მსგავსად, ნიშნავდა ვიეტნამის პატრიოტებზე გამარჯვებისადმი მოწოდებას. შემდეგ ამ ნიშნის აზრმა ტრანსფორმაცია განიცადა — იგი ესმოდათ როგორც მშვიდობის ძალების ომის ძალებზე გამარჯვება. ძეგლი, რომელშიც თავდაცვა მოაწყეს ვეტერანებმა, ოდესღაც თვითონ იყო თავისუფლების სიმბოლო, მაგრამ უკვე მრავალი წელია იგი შეუფაცხყოფილი თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. ძეგლთან ყოფნასას უბის წიგნაკში ჩავიწერე — „ვეტერანები თავდაცვაზე არიან“. მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა — ვეტერანები კვლავ შეტევაზე არიან ომის წინააღმდეგ.

კორესპონდენტების ყოფნა ყველაზე ნათელი დამადასტურებელი სიმართლისა „რაღაცის“ მოლოდინში. ისინი განუწყვეტლივ მორიგეობდნენ ძეგლის ლითონის კართან და დროდადრო თუ მიირბენდნენ ტელეფონის ჯიხურთან, რათა ჩაეცვიერათ მანქანტენის სარედაქციო მანქანტელეფონებზე უკანასკნელი ცნობები: პოლიციელებს რუხი ფორმა აცვიათ, შეიარაღებული არიან, ზოგიერთებს ტყვიაგადამტარი ჩაფხუტები ახურავთ! ჩვენი კითხვა — რად უნდათ ტყვიაგადამტარი ჩაფხუტები, თუ ვეტერანები უიარაღონი არიან — უპასუხოდ დარჩა.

კუნძულზე იუსტიციის მინისტრის მოადგილე ჩამოვიდა. მან განაცხადა, რომ მთავრობამ ვეტერანების წინააღმდეგ სასამართლო საჩივარ აღძრა, ბრალად დასდო ფედერალური საკუთრების მიტაცება და მონუმენტის ტურისტების მიერ დათვალიერების წესის დარღვევა. ვეტერანებმა უპასუხეს, რომ ისინი თავის მხრივ ბრალს სდებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ომის ესკალაციაში, ვიეტნამის მშვიდობიან მცხოვრებთა მკვლელობაში და ეს დანაშაული უფრო საზარელია, ვეტერანებს განუწყვეტელი კავშირი აქვთ თავიანთ შტაბთან მანჰეტენში, მათ მოუმზარეგებიათ ათეულნაირი მონეტები და სარეგლობენ ტელეფონ-ავტომატი, რომელიც ძეგლის შიგნით არის.

რაა?! ილაპარაკე ხმადაბალ! — ყვირის კორესპონდენტი ყურმილში, ერთ ხელს ყურზე იჭერს და ზემოთ იცქირება, სადაც ვერტმფრინავი წრიალებს, მისი ხმაური ტელევიზიის ჯიხურის სქელ შუშებსაც აბაკნი. ილუმინატორთან პოლიციელს გამოუყვია თავი. იგი ქვემ

სრულიად საკავშირო კონკურსი

საიუბილეოდ

СССР 50

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელთა სწავლების, შრომისა და ფიზიკურ-სპორტული აღზრდის საქმეში, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის პოპულარიზაციისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი ნაწარმოებების შექმნის მიზნით საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიოგადაცემების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობამ, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობამ, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობამ 1971 წლის 20 სექტემბერს მიიღეს დადგენილება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლების აღსაზრდელთა სწავლების, შრომისა და ყოფაცხოვრებისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებზე სრულიად საკავშირო კონკურსის მოწყობის შესახებ.

ამ დადგენილებით პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელთადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებზე სრულიად საკავშირო კონკურსი გაიმართა 1971 წლის ოქტომბრიდან 1973 წლის იანვრამდე სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად.

კონკურსზე წარმოდგენილ ნაწარმოებებში უნდა ჩანდეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საინტერესო სულიერი ცხოვრება. მათი შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის მრავალფეროვნება. აღზარდონ მათში მაღალი მორალური თვისებები, შეგნებული დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს — ყველა ასაკის ადამიანს.

კონკურსზე წარმოდგენილი ხელნაწერები უნდა გაიგზავნოს სორგანიზაციო კომიტეტში მისამართით: **მოსკოვი. К-92, სადგოვო-სუხარევსკაია, 16.** კონვერტზე, რომელშიც ხელნაწერია მოთავსებული.. იქნება მითითება: **„კონკურსი“ „ახალგაზრდა მუშა“** ხელნაწერი უნდა გადაიბეჭდოს ხელით საბეჭდ მანქანაზე სამ ეგზემპლარად. ლექსები, პოემები, სიმღერები რადიო-დადგმები, ტელეგადაცემების. ტელედადგმების სცენარები წარდგენილი იქნება **1972 წლის 1 ნოემბრისათვის.** რომანები, მოთხრობები. კინოფილმები — **1973 წლის 1 ივლისისათვის.**

კონკურსზე წარმოდგენილი ხელნაწერები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

კონკურსების მიხედვით დადგენილია შემდეგი პრემიები.

ა) ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის

— საუკეთესო რომანის, მოთხრობისათვის I პრემია — 2000 მანეთი.

— ორი წამახალისებელი პრემია — თვითეული — 800 მანეთი.

— საუკეთესო ლექსის, პოემისათვის I პრემია — 500 მანეთი, II პრემია — 250 მანეთი. ერთი წამახალისებელი — 100 მანეთი.

ბ) საუკეთესო კინოსცენარისათვის

— მხატვრული ფილმისათვის I პრემია — 1500 მანეთი, II პრემია — 1000 მანეთი, ერთი წამახალისებელი — 300 მანეთი.

— ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმისათვის I პრემია — 800 მანეთი, II პრემია — 500 მანეთი.

გ) სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის

— თემატური სურათისათვის I პრემია — 1000 მანეთი, II პრემია — 500 მანეთი, ერთი წამახალისებელი პრემია — 300 მანეთი.

— კომპოზიციური სკულპტურისათვის. I პრემია — 1000 მანეთი, II პრემია — 500 მანეთი, 1 წამახალისებელი პრემია — 300 მანეთი.

გრაფიკული ნახატების სერიისათვის I პრემია — 800 მანეთი, II პრემია — 500 მანეთი, ერთი წამახალისებელი პრემია 300 მანეთი.

დ) საუკეთესო სიმღერისათვის

— სიმღერების მუსიკისათვის I პრემია — 300 მანეთი, II პრემია — 200 მანეთი. სამი წამახალისებელი პრემია თვითეული 100 მანეთი.

—სიმღერების ტექსტისათვის, თუ იგი უწინ არსად, არ ყოფილა გამოქვეყნებული და დაიწერა კონკურსისათვის სპეციალურად: I პრემია — 300 მანეთი, II პრემია — 200 მანეთი.

სიმღერები შეიძლება იყოს ლირიკული და სამარშო, სოლო და გუნდური შესრულებისათვის განკუთვნილი.

კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იყოს ნაწარმოების ქვეტექსტირებული კლავირი ორ ეგზემპლარად და მანქანაზე დაბეჭდილი ცალკე ტექსტები — ასევე ორ ეგზემპლარად.

ე) საუკეთესო პიესისათვის — თეატრალური დადგმისათვის

— საუკეთესო პიესისათვის: I პრემია — 1000 მანეთი. ორი წამახალისებელი — თვითეულს 500 მანეთი.

— საუკეთესო დადგმისათვის ერთი წამახალისებელი — 250 მანეთი.

ვ) საუკეთესო რადიო და ტელევადაცემებისათვის

— საუკეთესო ტელევადაცემისათვის: I პრემია — 500 მანეთი. ორი წამახალისებელი — თვითეულს — 100 მანეთი.

— საუკეთესო რადიოდადგმისათვის: I პრემია — 500 მანეთი. ორი წამახალისებელი — თვითეულს — 100 მანეთი.

— საუკეთესო ტელევადაცემისათვის — პრემია 500 მანეთი. ორი წამახალისებელი — თვითეულს— 100 მანეთი.

„ფეხბურთი-72“

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ განსაზღვრეს 1972 წლის ჩვენი ქვეყნის პირველობის მოწყობის წესი უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგებში.

უმაღლეს ლიგაში ქვეყნის ჩემპიონის წოდებისათვის ებრძოლებს 16 გუნდი: „დინამო“ (კიევი) „არარატი“ (ერევანი), „დინამო“ (თბილისი), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), „დინამო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „კაირატი“ (ალმა-ატა), „ნეფტჩი“ (ბაქო), „კარპატი“ (ლვოვი), „დინამო“ (მინსკი), არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი, „ზენიტი“ (ლენინგრადი), არმიის სპორტული კლუბი (დონის როსტოვი), „დნეპრი“ (დნიპროპეტროვსკი) და „ლოკომოტივი (მოსკოვი). თამაშები დაიწყება 4 აპრილს და დამთავრდება 3 ნოემბერს.

აი პირველი ლიგის შემადგენლობა: „პახტაკორი“ (ტაშკენტი), „შახტიორი“ (დონეცკი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ერილია სოვეტოვა“ (კუიბიშევი), „ტეკსტილშჩიკი“ (ივანოვო), „მეტალისტი“ (ხარკოვი), „შახტიორი“ (ყარაგანდა), „დინამო“ (ლენინგრადი). „ტორპედო“ (ქუთაისი). „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „სტროიტელი“ (აშხაბადი), „შინიკი“ (იაროსლავლი), „პამირი“ (დუშანბე), „ალგა“ (თრუნზე). „ნისტრუ“ (კიშინიოვი), „ზვეზდა“ (პერმი), „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი). „ერევანი“ (ერევანი როგი).

ამ ლიგის ორი უძლიერესი გუნდი 1973 წელს გამოვა უმაღლეს ლიგაში.

121 გუნდია დაშვებული შეჯიბრებაში „ა“ კლასის მეორე ლიგაში. ასპარეზობა გაიმართება შვიდ ტერიტორიულ ზონაში. პირველ ზონაში მატჩების მოწყობისათვის ცენტრული ფედერაციის, დანარჩენ ექვს ზონაში — რუსეთის ფედერაციას. ზონების შვიდი გამარჯვებული შემოდგომაზე გაითამაშებს დამატებით ტურნირს 1973 წელს პირველ ლიგაში გამოსვლის უფლებისათვის. დებულებით ეს უფლება მიენიჭება სამ საუკეთესო გუნდს. (საკადესი).

ასეთია „დინამოს“ მატჩების კალენდარი

დამტკიცებულია ფეხბურთში სსრ კავშირის XXXIV პირველობის გათამაშების კალენდარი „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. აი როგორ გამოიყურება იგი თბილისის „დინამოსთვის“.

პირველი წრე

აპრილი — 4. „დინამო“ (თბ.) —„ლოკომოტივი“, 8. „დინამო“ (თბ.) — „დინამო“ (მ.), 15. „დინამო“ (მნ) — „დინამო“ (თბ.), 22. „ტორპედო“ — „დინამო“ (თბ.).

მაისი — 2. „დინამო“ (თბ.)— ნეფტჩი“, 7. „კირატი“ — „დინამო“ (თ.) 16. „დინამო“ (თბ.)— სკა, 20. „დინამო“ (თბ.) — „ზარია“, 29. „არარატი“ — „დინამო“ (თბ.).

ივნისი — 3. „კარპატი“ — „დინამო“ (თბ.), 11. „დნეპრი“ — „დინამო“ (თბ.), 23. „დინამო“ (თბ.) — ცსკა, 28. „დინამო“ (თბ) — „ზენიტი“.

ივლისი — 6. „დინამო“ (კ.)— „დინამო“ (თბ.), 11. „სპარტაკი“ — „დინამო“ (თბ.).

მეორე წრე

ივლისი — 19. „ნეფტჩი“—„დინამო“ (თბ.), 24. „დინამო“ (თბ) — „კარატი“.

აგვისტო — 1. „დინამო“ (თბ.) — „არარატი“, 9. „დინამო“ (თბ.) — „ტორპედო“, 13. „დინამო“ (თბ.) — „დინამო“ (მნ.).

სექტემბერი — 2. „დინამო“ (მ.) — „დინამო“ (თბ.), 8. „ლოკომოტივი“ — „დინამო“ (თბ.), 17. სკა — „დინამო“ (თბ.), 22. „ზარია“ — „დინამო“ (თბ.).

ოქტომბერი — 1. „დინამო“ (თბ.) — „დნეპრი“, 6. „დინამო“ (თბ.) — „კარპატი“, 11. „ზენიტი“ — „დინამო“ (თბ.), 21. ცსკა — „დინამო“ (თბ.), 29 „დინამო“ (თბ.) — „დინამო“ (კ.).

ნოემბერი — 3. „დინამო“ (თბ.) — „სპარტაკი“.

ცვლილებანი შემადგენლობებში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა ერთი გუნდიდან მეორე გუნდში გადასვლის თამაშზე ფეხბურთელთა განცხადებების უმრავლესობა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი განცხადებანი ჯაილებით ნაკლები იყო, ვიდრე შარშან.

„გადასვლის ინსტრუქციის“ თანახმად 88 ფეხბურთელს ნება მიეცა ახალ სეზონში ითამაშოს სხვა გუნდებში. კერძოდ კიევის „დინამოში“ მიიღეს ვ. ფუკოვი (ვიტებსკის „ავტომობილისტი“), ვ. სამოხინი (კრივოი როგის „კრივბასი“), მ. ფომენკო (ვოროშილოვგრადის „ზარია“), ვოროშილოვგრადის „ზარიაზე“ — ვ. კოპეი (ვიტებსკის „ავტომობილისტი“), მოსკოვის „დინამოში“ — ო. დოლმატოვი („კირატი“), ხ. ფომინი („შხაბადის „სროიტელი“). მოსკოვის „სპარტაკში“ — ი. დარვინი (მაიკოპის „დრუჟბა“) და ა. პროხოროვი (კიევის „დინამო“), მოსკოვის „ტორპედოში“ — ა. ელიზაროვი (კურგანის „ზაურალეცი“). ვ. შაბაკოვი (მოსკოვის „დინამო“), „კაირატში“ — ნ. ბოლიკოვი (კემეროვოს „ავანგარდი“), ნ. ოსიანინი (მოსკოვის „სპარტაკი“), „ნეფტჩიში“ — ვ. კოსეტკოვი (ლენინგრადის „ზენიტი“), „პარპატში“ — რ. ჟურავლევი (კიევის „დინამო“), ა ზინჩენკო (დონის როსტოვის არმიის სპორტული კლუბი), ი. კიკოტი და ე. კოზინკევიჩი (ორჯონიკიძის „შახტიორიდან“), ი. სვეტოფი („კაირატი“), რ. შპოდარეროვი (ხარკოვის „მეტალისტი“), მინსკის „დინამოში“ — ბ. ბელოუსი და ა. ბოგოვიკი (ორივე კიევის „დინამოდან“), ა. ოვჩინიკოვი (მოსკოვის „სპარტაკი“), ს. პავლენკო (ხარკოვის „მეტალისტი“), ვ. კირიჩენკო (ზაპოროჟიეს „მეტალურგი“), დონის როსტოვის არმიის სპორტული კლუბის ბუნდეი — ი. აბაევი (ორჯონიკიძის „სპარტაკი“), კ. ბირეტა (ვილნიუსის „ჟალგირისი“), ვ. ლოზინი (ვოლგოგრადის „ბარიკადა“), ვ. ფილატოვი (მაიკოპის „დრუჟბა“), „დნეპრში“ — ვ. დენეში (ზაპოროჟიეს „მეტალურგი“), ლუკიმოტივში“ — ა. ზარაპინი (ყარაგანდის „შახტიორი“, ვ. პერეგონცევი, (სვერდლოვსკის „ურალმაში“), ა. პისკუნოვი (მოსკოვის „დინამო“). კიევის „დინამოში“ განცხადება შეიტანა „ნეფტჩის“ თავდამსხმელმა ვ. შევჩენკომ. იმის გამო, რომ იგი სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მოთამაშეა. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგია. გასული წლის დამლევს მოსკოვის „ტორპედოდან“ გაირიცხნენ მ. გერშკოვიჩი და ბ. ივანეკი. პირველმა განცხადება შეიტანა მოსკოვის „დინამოში“, მეორემ — არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდში. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ გაითვალისწინა, რომ ეს მოთამაშეები გუნდებიდან განთავისუფლებული არიან დაბალი სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლებისათვის და წინადადება მისცა მოსკოვის სპორტკომიტეტს კიევი ერთხელ დაუბრუნდის ამ საკითხს და გადაწყვეტოს მოთამაშეთა ბედი. (საკადესი).

„ფეხბურთი-72“



ფალავანი

თოვს, ბარაქიანად ბარდნის. ფანჯრიდან მოჩანს იპოდრომის ვრცელი მინდორი, პარკის დათოვლილი ხეივნები. ბინდი ნელნელა ჩამოწვა, ოთახში სალამომ შემოაბიჯა და სიმშვიდის განცდა შემოიტანა. გუგუნებს ბუხარი. ჰოი, რამდენი საათი გასულა, რაც ემსალაათობთ მე და ჩემი კეთილი მასპინძელი.

ისევ თოვს. კაუჯაში ელნათურების შუქზე მოფარფატე თოვლის ფანტელები თეთრი წვიმის ილუზიას ქმნიან. ეს სილამაზე პირველად პატარა ქეთინომ შეამჩნია.

ქეთინო მეორე კლასში სწავლობს, მაგრამ კარგად ამჩნევს იმ სილამაზეს, რომელიც მის გარშემოა. მას ცისფერზოლებიანი კაბა აცვია, ცოტას იცინის და საერთოდ ცდილობს უფროსებს მიბაძოს. სადაცაა იგი დედასთან ერთად თეატრში შეხვდება თავის საყვარელ ძმიერს, და საამოსოდ სავულდაგულოდ ეემზადება.

— მამიკო, თეატრში წასვლამდე თმა უნდა შემრეოს, ხომ ხედავ როგორ დამიგრძელდა?

მასპინძელი ღიმილით დგება სავარძლიდან, ბოდიშს იხდის და თავისი პატარა გოგონას „კაპრიზს“ შესასრულებლად მიემართება. მის მოსვლამდე ვათვალიერებ უბის წიგნაკს, სადაც ფრაგმენტებად არის წარმოსახული ერთი მეტად საინტერესო და პოპულარული ადამიანის სპორტული ცხოვრება. ძალაუნებურად ეფიქრობ. რომ ამ ბიოგრაფიას უნდა ერქვას—„ასეთია სპორტული ცხოვრება“. არა იმიტომ, რომ იგი ოდნავ მაინც იწვევს გასმაურებული ფილმის ასოციაციას. უბრალოდ, მისმა გმირმა განელო საოცარი გზა, რომელიც დიახაც რომ სამაგალითოა ყველა სპორტსმენისათვის.

„— ხალიჩაზეა გივი კარტოზია!“ ეს სიტყვები გაისმოდა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში, ეს შეძახილი „აფრთხობდა“ ბლოკნოტის საუკეთესო თანამშრომლებს, ისინი იწერებოდა წიგნებისა და ჟურნალების სუპერებზე, ციმციმებდა კინო და ტელეეკრანზე... ათასობით მაყურებელი თავდავიწყებით მიესალმებოდა ჭიდაობის მშვენებასა და სიამაყეს, ლეგენდარულ ფალავანს გივი კარტოზიას. იგი ძალზე იშვიათად უნახავთ დამარცხებული, მაგრამ ქედმაღრჩილი არასოდეს, ამაყი, ლამაზი და ჭეშმარიტად რაინდული სულის ადამიანი. საერთოდ კი გივი გამარჯვებისთვის იყო დაბადებული.

...უბის წიგნაკში ძუნწად ჩანიშნული ფრაგმენტები ცოცხლდებიან და ხელმეორედ მიამბობენ ამაზე, რაც რამდენიმე საათის წინათ მასპინძლისგან მოვისმინე.

— როცა დიდი ხნის მანძილზე ჭიდაობ, უთუოდ გადაეყრები ისეთ ფალავანს, ვისთანაც მოგება მართლაც რომ „სამკედრო-სასიცოცხლო“ ბრძოლის ფასად გაჯდება. ჩემთვის ასეთი შეხვედრა იყო ათლისთან — მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფალავანთან, ოუჩქების კერპთან. ათლი განასახიერებდა ყოველივე საუკეთესოს, რაც საუკუნეთა მანძილზე დაუგროვებია თურქულ ჭიდაობას.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მსოფლიოს უძლიერესი ფალავნები ხშირად ერთდროულად გამოდიოდნენ როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში. ასე ვიყავით მე და ათლიც. თურქ მოჭიდავეს პირველად 1953 წელს ნეაპოლის მსოფლიო ჩემპიონატზე შევხვდი. მაშინ ორივე „კლასიკოსები“ ვიყავით, მე დავამარცხე ათლი, მოიგეს „სუფთად“. მიუხედავად ამისა, ერთმანეთს მეგობრულად დავეშვიდობეთ. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ათლიმ საღოლაც ღრმად ჩაიმარხა გულში „შურისძიების“ სურვილი. ჭიდაობა თანატოლურად უყვარდა. ხალიჩაზე გამოსვლისას თვალები რაღაც არაბუნებრივად უელავდა, თავდავიწყებით მოდიოდა. იერიშზე, არ დაჯიდევდა. ძლიერი იყავი თუ სუსტი. ნახშირივით შავი, ბანჯგვლიანი, კუნთებად ქცეული შეხვედრის შემდეგ ძალთა თანაფარდობა გაწონასწორდა. თურქეთის სპორტული პრესა წერდა: „ორივე მოჭიდავე რკინისგან არის ჩამოსხმული, ორივე მხოლოდ გამარჯვებას ეძებს, ვინ მოიგებს საბოლოოდ?“

ათლის სამშობლოში, სტამბოლში, „მუჰამედ ფაშას“ სტადიონზე ვამართავ ეს შეხვედრა. ტრიბუნები 25 ათას მაყურებელს იტევს ადგილი გასაგებია, რომ იმ დღეს ტრიბუნებზე სულ ცოტა ორჯერ უფრო მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

— სტამბოლში ძალიან კარგად ვიგრძენი, თუ რა თავდავიწყებით უყვართ თურქებს ჭიდაობა. იგი თავისი პოპულარობით უთანაბრდება ბრაზილიელთა თაყვანისცემას ფეხბურთისადმი. მსოფლიოს ცნობილი ფალავნების ფოტოები აქ კინოვარსკვლავების სურათებივით არის გამოფენილი მაღაზიებში, ქუჩებში, სახლებში... გულშემატკივრები მაჩერებდნენ, მესალმებოდნენ, მიღიმოდნენ, ავტოგრაფებს მთხოვდნენ. სხვათა შორის, რეშუ ამბობენ, კომპლექციით მოჭიდავეს არა ჰგავსო. ეტყობა ეს მართლაც ასეა. რადგანაც სტამბოლის ქუჩებში ხალხი მესეოდა და მკლავის ძალას მიესალმებოდა. სასაცილო იყო. როცა მათს სახეზე გაკვირვებისა და ერთგვარი გაწბილების გრძნობა ამოსახებოდა: სანამ კი მცნობენენ და „გურჯ კარტოზიას“ მამსგავსებდნენ, მაგრამ ჩემი ფიზიკური მონაცემები ცოტა არ იყოს, აეჭვებდათ.

და აი, მე და ათლი სტადიონის საჭიდაო ხალიჩაზე ერთმანეთს მივესალმეთ. მაყურებლები ფუტკრებივით ბზუოდნენ, ეტყობა, ემზადებოდნენ პირველივე ილეთის შემდეგ სტამბოლის ლაქვერდოვანი ცა გამაყრუებელი ღრიანცელით „ჩამოენგრიათ“. ხუმრობა იქით იყოს და მათმა რეაქციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ათლი გაიფთრებულია, საკუთარი მაყურებლის თვალწინ არაერთგზის შემთხვევაში არ უნდა დამარცხებულმა დატოვოს ხალიჩა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მისი მდგომარეობა გასაგებია. ამიტომ, როგორც იტყვიან, არც ვაცივ და არც ვაცხელე, ვიღრე ფსიქიკურ ომრეშს წამოიწყებდა, მე დავესწარი. ბრძოლა დიდხანს ერ გაგრძელებულა. ათლი ბეჭებით გაეკრა ხალიჩას.

ამ ჭიდაილის დამსწრეთა გადმოცემით გივი კარტოზიას უჭიდავია ისე, როგორც არასდროს. ქართველმა ფალავანმა მოუგო არა მარტო ათლის, არამედ მის ათასობით გულშემატკივარსაც, რომლებიც თურქი მოჭიდავისგან მხოლოდ გაბარჯვებას მოელოდნენ. საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ამ პრინციპული პაექრობის შემდეგ ისინი, ვინც სტამბოლის ქუჩებში გივი კარტოზიას მკლავის ძალას უსინჯავდა და სკეპტიკურად აქნევდა თავს აქეთ-იქით.

ასე დამთავრდა ათლი-კარტოზიას შეხვედრების „ეპოპეა“. ეს იყო 1956 წლის მაისში, კლასიკურ ჭიდაობაში სტამბოლის მსოფლიო თასის გათამაშებაში. ამ დროისთვის გივი კარტოზია უკვე საქვეყნოდ სახელმოხვეპილი ფალავანი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იყო. გადის სულ რამდენიმე თვე, და იგი შორეულ ავსტრალიაში, მელბურნის ოლიმპიურ ასპარეზობის ოქროს მედლითაც იმშვენებს მკერდს.

მელბურნმა ღირსეულად დაათასა ქართველი ფალავნის სწორუპოვარი ოსტატობა. გივი კარტოზია ოლიმპიადის ერთ-ერთ უმჯობესად ითვლება. ამ ბრძოლაში ფალავანმა ბოლოს ეტაპზე ბულგარელ ალექსანდროვ ბოიჩევ-ს ... ეს ბრძოლა ... ეს ... ...